ქეთევან კაკიტელაშვილი
Ketevan Kakitelashvili
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ებრაული იდენტობის სეკულარიზაციის მექანიზმები საბჭოთა ებრაული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის 1920-1930-იან წლებში

Mechanisms of Secularization of Jewish Identity for the Formation of Soviet Jewish Identity in the 1920s-1930s

საკვანძო სიტყვები: *იდენტობა, საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდა, ებრაული თემი, სეკულარიზაცია*
Keywords: *Identity, Soviet antireligious propaganda, Jewish community, Secularization*

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ქვეყანაში ახალი, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. 1920-1930-იანი წლები აღინიშნა წინააღმდეგობრივი ეროვნული და ეკონომიკური პოლიტიკით. საბჭოთა ეროვნული ექსპერიმენტის ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ხალხების, მათ შორის, ებრაელთა იდენტობის ახალი კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელება იყო.

გასაბჭოებამდე ქართველ ებრაელთა იდენტობა მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიას; თემის ძირითადი ნაწილის ცხოვრება სინაგოგის გარშემო იყო კონცენტრირებული. რაც შეეხება მათ ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას, ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა ჩართული იყო სავაჭრო საქმიანობაში; 1918-1921 წლებში მათი სრულუფლებიანი სამოქალაქო სტატუსი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით. გასაბჭოების შემდეგ მათი იდენტობის არსებითად განსხვავებული მოდელი შემუშავდა. ებრაელთა 90 პროცენტზე მეტს, როგორც „ჩარჩებს, ვაჭრებს და ექსპლუატატორებს“, ანუ „არამშრომელ ელემენტებს“, ჩამოერთვათ ხმის და დასაქმების უფლება. ებრაელების „ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში“ ჩასართავად შემუშავდა საგანგებო სამუშაო გეგმა, შეიქმნა კომიტეტი და საზოგადოებები. 1920-იანი წლების ანტირელიგიური პროპაგანდა და ახალი ებრაული დასახლებებისა დაარსება მიზნად ისახავდა ქართველ ებრაელთა ტრადიციული ცხოვრების წესისა და იდენტობის მთავარი საყრდენის შესუსტებას და სეკულარული „ახალი ადამიანის – ებრაელი მშრომელისა და ებრაელი გლეხის“ დაბადებას.

In 1921, after the establishment of Soviet rule in Georgia, a new political and social system based on Marxist-Leninist ideology began to be established in the country. The 1920s-1930s were marked by contradictory nationality and economic policies. One of the goals of the Soviet nationality experiment was to develop and implement a new concept of identity of the Soviet peoples, including the Jews.

Before Sovietization, Georgian Jewish identity was closely linked to religion; the Jewish communal life was concentrated around the synagogue. As for economic activity and legal status, the vast majority of Jews were involved in trade; in 1918-1921, their full-fledged civil rights were ensured by the legislation of the Democratic Republic of Georgia. After Sovietization, a fundamentally different model of Jewish identity was developed. More than 90 percent of Jews labeled as “peddlers, traders, and exploiters,” or “non-working elements,” were denied the electoral and labor rights. In order to involve them in the “building of a new life,” a special committee and societies were established and work plans were developed. At the end of the 1920s, Soviet anti-religious propaganda, establishment of new Jewish settlements and collective farms were aimed at separation of Jews from their faith, weakening the main pillars of Georgian Jewish lifestyle and identity and creation of a “new man - a Jewish worker and a Jewish peasant”.